კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ტურიზმი

1015.1.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

მომსახურებები

5. ვიწრო სფერო

პერსონალური მომსახურებები

6. დეტალური სფერო

მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება

7. სწავლის სფერო

ტურიზმი

8. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

9. სწავლის ხანგრძლივობა

4 წელი, 8 სემესტრი

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11. სწავლების ენა

ქართული

12. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

Bachelor of Business Administration in Tourism

13. პროგრამის ხელმძღვანელი

ლალი მიქელაძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

14. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

15. სწავლების პერიოდი და მოცულობა

ერთი აკადემიური წელი გრძელდება **38 კვირას;**

I სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა;**

II სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა.**

აქედან:

ა) **1-15კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია–სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება და დაცვა.

ბ) **მე-16 – მე–18კვირა** დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

გ) **მე-19 კვირას** ტარდება განმეორებითი გამოცდები.

16. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ტურიზმის სფეროს ფართო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე ბაკალავრის ხარისხის კონკურენტუნარიანი სპეციალისტები შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე დასაქმებისთვის;

შესძინოს სტუდენტებს ცოდნა ტურიზმის სახეების, მიმართულებების, დესტინაციის გათვალისწინებით ტურისტულ, ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების და კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი პრინციპების გამოყენებით ტურისტული პროდუქტის შექმნის შესახებ;

გაარკვიოს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად ასპექტებსა და საკანონმდებლო რეგულაციებში.

პროგრამა ასევე ორიენტირებულია განუვითაროს სტუდენტს ბიზნესის ადმინისტრირების, ტურისტული საქმიანობის (განთავსება, კვება, ტრანსპორტი, ტურისტული კომპანიები, საექსკურსიო მომსახურება) შესაბამისი მენეჯერული, პრაქტიკული უნარები, რათა სწრაფად ცვალებად გარემოში ტურისტული პოტენციალის, მომხმარებელთა მოთხოვნილებების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ფინანსურ-სტატისტიკური ანალიზის, კვლევის, ტურიზმის მართვის მეთოდების, მარკეტინგული დაგეგმვის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე, კურსდამთავრებულმა შეძლოს ტურიზმის სფეროში კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში, საშუალო რგოლის მენეჯერებად დასაქმება და/ან საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის, პროექტების დაგეგმვა/წარმატებით განახორციელება;

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ზოგადსაკაცობრიო ფასულობებზე დაფუძნებული ღირებულებების განვითარებით კომპეტენტური კადრების მომზადება, რომელთაც გათავისებული ექნებათ პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე; დარგობრივი ტენდენციების, პრობლემათა გადაჭრის გზების შესაძლებლობებზე; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციაზე (ზეპირი, წერითი) მშობლიურ და უცხო ენაზე.

17. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა – 240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები: 180 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **22 კრედიტი**
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - **44 კრედიტი**
- სწავლის სფეროს (ტურიზმის) სავალდებულო სასწავლო კურსები - **114 კრედიტი**

არჩევითი კომპონენტები: 40 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **10 კრედიტი;**
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - **8 კრედიტი;**
- სსწავლის სფეროს (ტურიზმის) არჩევითი სასწავლო კურსები – **22 კრედიტი**

თავისუფალი კომპონენტები: 20 კრედიტი.

პროგრამის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სტუდენტი ვალდებულია 2 სემესტრის განმავლობაში, 10 კრედიტის მოცულობით შეისწავლოს მეორე უცხო ენაც, თავისი სურვილის მიხედვით. ეს ენებია: გერმანული და რუსული.

გარდა ამისა, დაჯავშნის კომპიუტერულ სისტემაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, პროგრამაში 5 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსი, როგორიცაა დაჯავშნის საერთაშორისო სისტემები.

მისი საშუალებით:

- სტუდენტები შეძლებენ შემომყვანი და გამყვანი ტურიზმის საერთაშორისო დაჯავშნის სისტემების გამოყენებას, (სიტემების B2B-სა და B2C-ის პლატფორმები), ტურისტული სხვადასხვა პროდუქტების ფორმირებას და შესყიდვას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

- სტუდენტები შეძლებენ, მართონ პრაქტიკულად არსებული საერთაშორისო დაჯავშნის სისტემები, დაგეგმონ და შეასრულონ კონკრეტული ტურისტული საქმიანობები, გადაანაწილონ არსებული რესურსები თანაბრად;
- დაჯავშნას ეროვნულ და საერთაშორისო ავიაკომპანიების რეისებზე. (ავიაცია და საერთაშორისო დაჯავშნის სისტემების B2C პლატფორმა);
- ისწავლიან (**Microsoft Outlook**) ელექტრონული ფოსტის შეტყობინებების სამსახურის გამოყენებას; ტურისტული პროდუქტების შეთავაზებას მომხმარებლისთვის სერვის პლიუსის გამოყენებით.
- ისწავლიან სასტუმროთა მსოფლიოს საერთაშორისო დაჯავშნის სსისტემებს (www.booking.com www.edreams.com) ნომრების დაჯავშანასა და გამოსყიდვას, მსოფლიოს მასშტაბით მანქანების გაქირავების კომპანიების რესურსების გამოყენებას;

18. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს პრაქტიკა 10 კრედიტის მოცულობით და შეასრულოს საბაკალავრო პროექტი, 5 კრედიტის მოცულობით.

19. სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული სტანდარტული მეთოდები, ასევე არასტანდარტული, სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც დარგის შესწავლის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი,** იგულისხმება ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა,ან Power Point –ით პრეზენტაცია;
- **გასვლითი ლექცია** შესაბამის საწარმოსა თუ დაწესებულებაში, ასევე, ტურისტული ატრაქციის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- **დარგის სპეციალისტის ლექცია;**
- **მასტერკლასი** – როდესაც პრაქტიკულ მეცადინეობაზე დარგის სპეციალისტი საკუთარი სპეციფიური უნარების დემონსტრირებას ახდენს და სტუდენტების მიერ ასეთი უნარების ათვისებას უწყობს ხელს;
- **ჯგუფში დისკუსია/დებატები,** რაც ითვალისწინებს სტუდენტების კამათში გამოწვევას, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირებას;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი;**
- **წერითი მუშაობის მეთოდი,**რომელიც გულისხმობს: ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისების, ესეებისა და რეფერატების მომზადებას;
- **გუნდური მუშაობა,** რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, გუნდებში ლიდერული უნარების მქონე პიროვნებათა გამოვლინებას,გუნდების მიერ სემინარებისა და დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ პრეზენტირებას, გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;

- **თანამშრომლობითი მეთოდი**, როცა ხდება სტუდენტთა ცოდნისა და გადმოცემის უნარის ურთიერთშეფასება, სტუდენტთა თვითშეფასების გამოყენება საბოლოო შეფასების ფორმირებისას;
- **შემთხვევის ანალიზი ანუ მეთოდი case-study**, რომელიც აღწერს ისეთ კონკრეტულ სიტუაციებსა და პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ განსჯას. ეს მეთოდი გამოდის სტუდენტთა ლოგიკური აზროვნების წამახალისებლის როლში;
- **ბრეინსთორმინგი** გულისხმობს სტუდენთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ ხდებასტუდენტთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით;
- **დემონსტრირების მეთოდი** იყენებს ბეჭდური და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მასალებს (მაგალითად ტურისტული კომპანიების სარეკლამო ბროშურები, სასტუმრო ბრენდების ყოველწლიური ჟურნალები, ვიდეორგოლები, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები და ა. შ.);
- **ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი,** რომელიც გამოიყენება სტატისტიკური და წმინდა ეკონომიკური მოვლენების აღწერისას;
- **ბიზნეს-სიმულაციების მეთოდი,** რაც გულისხმობს სტუდენტისათვის პრაქტიკული ხასიათის დავალებების მიცემას და პარტნიორი ტურისტული პროფილის ორგანიზაციებთან ერთად საუკეთესოების გამოვლენას, ასევე ვირტუალური ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებას;
- **ინოვაციური ინფორმაციის/მასალის მოძიება** და საშინაო დავალებების ჯგუფური განხილვა;
- **ევრისტიკული მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ახსნა–განმარტებითი მეთოდი;**
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.**

პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საქართველოს ბიზნეს-საგანმანათლებლო სივრცისათვის ისეთ ახალ და აქტუალურ მიმართულებაზე, როგორიცაა **გუნდური პროექტების/ბიზნეს-გეგმების მომზადება და პრეზენტაცია.**

სახელდობრ, სემესტრის მანძილზე, პროგრამის რიგი ძირითადი საგნების შესწავლისას, სტუდენტური გუნდები ამზადებენ და საპრეზენტაციოდ წარმოადგენენ სასწავლო-შემეცნებით პროექტებს და ბიზნეს-გეგმებს.

სტუდენტები ეჩვევიან:

- დამოუკიდებელ ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას;
- მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვასა და დროის ორგანიზებას;
- საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/ წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას.
- სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო ჯგუფის თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე.

20. სწავლის შედეგები

ტურიზმის საბალავრო პროგრამის დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლების შედეგების (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების) მიღწევას შემდეგი მიმართულებებით.

ცოდნა და გაცნობიერება	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:** **აღწერს** ტურიზმის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი ბიზნეს- სექტორის სახეებს, მიმართულებებს, დეფინიციებს, თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებს, ტურისტული იდუსტრიის, ტურისტული პროდუქტის ფორმირების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ფინანსების თეორიულ საფუძვლებს და მათ როლს დარგის განვითარებისთვის; **განიხილავს** საბაზარო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს (ეროვნულ, საერთაშორისო) ბიზნესში და ტურიზმში, საქმიანობისთვის აუცილებელი სტატისტიკური, საკომუნიკაციო-საინფორმაციო თანამედროვე ტექნოლოგიების, ბიზნესის კვლევის მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას; **აცნობიერებს** ტურიზმის განვითარების მდგრადი პოლიტიკის და საკანონმდებლო ბაზის ზეგავლენას ცვალებად ბიზნეს გარემოზე.
უნარი	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** **ახდენს** საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, მსოფლიო ტურისტული ცენტრების პოტენციალის და ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას დანიშნულების ადგილის მიხედვით და აკავშირებს ტურიზმის შესაბამისი სახეებისა და მიმართულებების განვითარებასთან; **მონაწილეობს** ტურისტულ საწარმოთა მართვასა და პროდუქტების პროექტირებაში, მომსახურების ეფექტიანი თემატური პროგრამების შემუშავებაში, სამომხმარებლო ფასეულობების შექმნაში; ტურისტულ რესურსებთან ერთად **იყენებს** სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებს და სხვა საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებს: საერთაშორისო დაჯავშნის სისტემებს, (სასტუმროს მართვის პროგრამას opera) და ა.შ. ქმნის პოტენციურ მომხმარებლთა შეთავაზება - გაყიდვის სტიმულირების ფორმებს; **აანალიზებს** ტურისტული ინდუსტრიის სექტორების (განთავსება, კვება, ტრანსპორტი, ტურისტული კომპანიები, ღონისძიებების ორგანიზება-მართვა) ურთიერთკავშირს, ტენდენციებს, წამოჭრილ პრობლემებს, მოსალოდნელ საფრთხეებს; მარკეტინგული კვლევის მონაცემთა დაკავშირება-შეფასების საფუძველზე ახდენს მათი გადაჭრის სტრატეგიების დაგეგმვას სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით; ხელმძღვანელის რეკომენდაციებით და პროფესიული ინტერესის შესაბამისად **ქმნის** ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ კვლევით /ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ ნაშრომს და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას მშობლიურ ან უცხო ენაზე, ტურიზმში მონაწილე ყველა სუბიექტთან.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** ტურისტულ სექტორში საქმიანობის პროცესში **იცავს** ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის ნორმებს, პატივს

	სცემს სხვა ერების ღირებულებებს, კულტურას, ტრადიციებს, მოქმედებს სამართლებრივი და პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპების შესასაბამისად; პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების შესაბამისად **ზრუნავს** საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, აფასებს დარგის მუდმივად დინამიურ ხასიათს და **დამოუკიდებლად გეგმავს** კომპეტენციების გაუმჯობესებისთვის სწავლის შემდეგ დონეზე გაგრძელების პროცესს, ადგილობრივ და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში.

21. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენ-ტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;**

- **თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ დაფასდება 20 ქულით;**
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილიმაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

  შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, საშინაო დამოუკიდებელი დავ ალების, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) **– 30–34 ქულა;**

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 6–10 ქულა;

2. შუალედურიგამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის** (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

22. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - **საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

23. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება **ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი** და ეძლევა შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

294. კვალიფიკაციის / ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება **კუმულატიური GPA,** რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

25. დასაქმების სფერო

საბაკალავრო განათლების მიღების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო დაწესებულებებში, დარგობრივ ასოციაციებში და იმ კერძო კომპანიებში, რომლებიც ტურიზმთან არიან დაკავშირებულნი: ტურისტულ კომპანიებსა და სააგენტოებში, სასტუმროებში, სატრანსპორტო კომპანიებში, კვებითი მომსახურების საწარმოებში, ღვინის მარნებში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში, საერთაშორისო და ეროვნულ ეკონომიკურ ორგანიზაციებში.

26. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სწავლის სფეროს ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

კომპეტენციათა რუქა

სასწავლო კურსი	კომპეტენციები		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ინგლისური ენა–1	X	X	
ინგლისური ენა -2	X	X	
ინგლისური ენა –1დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური ენა -2 დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური ენა- 3დამწყებთათვის	X	X	
კომპიუტერული უნარები	X	X	X
წერის უნარები	X	X	
საქართველოს ისტორია	X	X	X
ეკონომიკის პრინციპები	X	X	
მათემატიკა ტურიზმისთვის	X	X	
მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X
ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	X	X	
ბიზნესის საფუძვლები	X	X	

სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	X	X	X
ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	X	X	
მარკეტინგის საფუძვლები	X	X	
ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები	X	X	X
ტურიზმის საფუძვლები	X	X	
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი			
საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	X	X	
მსოფლიო ტურისტული ცენტრების გეოგრაფია	X	X	
ადამიანური რესურსების მართვა ტურიზმში	X	X	X
ტურიზმის სტატისტიკა	X	X	
ტურიზმის პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა	X	X	X
მეორე უცხო ენა (რუსული, გერმანული) – 1	X	X	X
ტურიზმის მარკეტინგი	X	X	
მეორე უცხო ენა (რუსული, გერმანული) – 2	X	X	X
საექსკურსიო მენეჯმენტი - გიდის ხელოვნება	X	X	X

ტუროპერეიტინგი	X	X	X
პროფესიული ინგლისური ტურიზმისთვის-1	X	X	X
პროფესიული ინგლისური ტურიზმისთვის -2	X	X	X
დაჯავშნის საერთაშორისო სისტემები	X	X	
სასტუმროს მენეჯმენტი	X	X	
ღონისძიებათა მენეჯმენტი - MICE ტურიზმი	X	X	X
ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი	X	X	
ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი	X		
პრაქტიკა	X	X	X
საბაკალავრო თეზისი	X	X	X
ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	
მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	X	X	
ამერიკული ლიტერატურა (კოლონიალური საწყისებიდან დღემდე)	X	X	
მეტყველება და საჯარო გამოსვლები	X	X	
მსოფლიო ლიტერატურა - თანამედროვე რომანი	X	X	
პოლონური ენა-1	X	X	
ესპანური ენა -1	X	X	X

ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
მსოფლიო კინოს ისტორია	X	X	
კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა	X	X	
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	X	X	
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	X	X	
ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	
პოლონური ენა-2	X	X	
ესპანური ენა -2	X	X	X
მცირე ბიზნესის მართვა	X	X	
ბიზნეს კომუნიკაციები	X	X	
ბიზნესის მოდელირება	X	X	
შრომის ეკონომიკა	X	X	
ელექტრონული ბიზნესი	X	X	X
საერთაშორისო ბიზნესი	X	X	
ბიზნესის ეთიკა და ბიზნესის ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X
ცირკულარული ეკონომიკის საფუძვლები	X	X	

ფინანსებისა და ტექნოლოგიების მენეჯმენტი	X	X	X
საქართველოს ტურისტული მარშრუტები	X	X	
გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი	X	X	
ტურიზმის ეკონომიკა	X	X	
საერთაშორისო ტურიზმი	X	X	
მდგრადი ტურიზმის განვითარება	X	X	X
ლიდერობა და გუნდის მართვა	X	X	
მომსახურების მარკეტინგი			
Vellnes ტურიზმი	X	X	X
ეკო აგრო ღვინის ტურიზმი			
ბრენდინგი	X	X	
კვებისა და სასმელების ინდუსტრია ტურიზმში	X	X	
უსაფრთხოება ტურიზმში	X	X	X
მომხმარებელთა ქცევა	X	X	
სატრანსპორტო მომსახურება და გადაზიდვები	X	X	
სასტუმროს მიღება-განთავსების ადმინისტრირება (პროგრამა Opera PMS)	X	X	X

+ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი +
+ CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY +